ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6526179

ნომერი: AR1971190

თარიღი : 08.06.2023

გაცემის თარიღი : 23.06.2023

გაცნობის თარიღი : 26.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 14 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17/4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი(ბანკი. სასტუმრო, კაფე)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ხმალაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ხმალაძე არქიტექტორები
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404856376

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს პაშა დეველოპმენტ ჯორჯია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402013628

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ფარიდ მურადოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: აზერბაიჯანის მოქალაქე, C04015314

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 5924490
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.05.2022

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2022 წლის 03 მაისის № 5924490 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის 03 მაისის № 5924490 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი-ჩუღურეთი), დ.აბაშიძის ქ.N17, აბაშიძის ქ.N14-ის მიმდებარედ, დ.აბაშიძის ქ.N17/4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.16.05.001.025) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 3 მაისიდან 2024 წლის 3 იანვრის ჩათვლით.

2023 წლის 08 ივნისის AR1971190 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2022 წლის 03 მაისის № 5924490 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ვლადიმერ აბრამიშვილის 2023 წლის 08 ივნისის AR1971190 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/05/2022 წლის № 5924490 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისიდან 2026 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
4. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) სამშენებლო მოედნის მოწესრიგება: მათ შორის ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოციელბასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანა. არსებული საყრდენი კედლის დაშლა;

2) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

3) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაგრებით; შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

4) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;

- ბლოკი „A” -0.10 – 7.80 ნიშნულამდე 7.80 – 15.70მ ნიშნულამდე 15.70 – 22.40მ ნიშნულამდე
- ბლოკი „B” 0.15 – 4.23მ ნიშნულამდე 4.23 – 12.28მ ნიშნულამდე 12.28 – 19.28მ ნიშნულამდე 19.28 – 26.28მ ნიშნულამდე 26.28 – 35.15მ ნიშნულამდე
- ბლოკი “C” 0.00 – 6.96მ ნიშნულამდე

5) ბლოკი „A”; „B” ; “C” შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

6) ბლოკი „A” არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

7) „ბლოკი „B”; “C” არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

8) ბლოკი „A” ; შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
9.) „ბლოკი „B”; “C” შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
10) ბლოკი „A” ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
11) „ბლოკი „B”; “C” ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
12) ბლოკი „A” შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
13) „ბლოკი „B”; “C” შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
14) ბლოკი „A” მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.
15) „ბლოკი „B”; “C” მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/05/2022 წლის №5924490 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.